მწყემსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან 10—11.

№ 18 | 1883—1908 წ. | 30 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განყოფილება: როგორ უნდა გაანაწილონ ახალი გამოსული ჯამაგირები ეკკლესიის კრებულებზე? სოფლის ხუცესისა.—ქრისტიანის დამოკიდებულება დროებასთან, მღვ. ი. ლუკიანოვისა.—ხმა ბუნების წიაღიდგან, ი. ბალუევისა.—მკვდრის რჩევა, მღვ. მინა მესხისა.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანოზრივ სარწმუნოებასა და **კეთილ-ზნეობაზე**:—წიგნი რიცხვთა.

როგორ უნდა გაანაწილონ ახლად გამოსული ჯამაგირები ეკკლესიის კრებულებზე?

ყოველნაირი ზომები იხმარეს იმისთვის, რომ გამოსული ჯამაგირები სამღვდელოებას განაწილებოდა კანონიერად. მაგრამ ამ გამოსული ჯამაგირების კანონიერად განაწილება დიდათ საძნელო შეიქმნა. არ მოხერხდა ეს ჯამაგირები გაენაწილებიათ ისე, რომ მომდურავი არ დარჩენილიყვნენ. მრავალნი პირნი ჩივიან, რომ ძლიერ ძვირად დაუჯდათ ამ ჯამაგირების მიღება; ზოგნი განაცხადებენ, რომ მართალია ერთი წლის ჯამაგირი შევსწირეთ მოხელეთ, მაგრამ ასე, რომ არ გვქონა სულ უჯამაგიროდ დავრჩებოდითო... სხვები კიდევ რას ამბობენ, ვინ მოსთვლის?..

განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსის დროს პირველ ხანებში უფრო კანონიერად იყოფოდა ეს ჯამაგირები სამღვდელოთა შორის. ყ-დ სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსმა მოითხოვა, რომ პირველად დანიშვნოდა ჯამაგირი მათ, რომელთა სამრევლოში მამრობითი სქესის ორას სულზე მეტი არ იყო. რომელ კრებულსაც უჩვენებდა ასეთს იმას აძლევდენ. ბოლოს კანტორამ მიითვისა ამ ახალ ჯამაგირების განაწილება მღვდლებზე და მაშინ სულ აირ-დაირია საქმე. შემდეგ ეპარქიის კანცელარიების შეკრებილი ცნობების საფუძვლად ენიშნებოდათ ჯამაგირები, ამ დროს უარესად აირია საქმე, მიიღეს ჯამაგირები ისეთმა პირებმა, რომელთა შემოსავალი უფრო მეტი იყო სხვა კრებულების შემოსავალთან შედარებით. დიდი „საშრომის„ დაპირება ზოგიერთი ეკკლესიების კრებულისაგან ერთის მხრით, და „საშრომის“ მიღების ძლიერი სურვილი მეორეს მხრით მოხელეთაგან, არის მიზეზი ამ უსიამოვნო მოვლენისა. გამოსული ჯაამგირების რიგიანად განაწილებისა...

სამღვდელოების კრებაზე რამდენჯერმე აღძრეს კითხვა ჯამაგირების განაწილების შესახებ, მაგრამ ერთი რიგაანი აზრი ვერ დაადგინეს. ითხოვეს რომ, რადგან დიდი უსამართლოება ხდება ამ ჯამაგირების დანიშვნის შესახებ, გამოსული ჯამაგირი გაუნაწილდეს ყველა კრებულს, რომელთაც სრული ჯამაგირები არა აქვსთ დანიშნულიო. ეს აზრი სამღვდელოებისა თითქმის კანონიერია, მაგრამ თუ მივიღებთ სახეში ზოგიერთ დიდ მრევლს, სადაც დრამის ფულები იკრიბება, მაშინ არ იქნება კანონიერი, რომ მართლა ყველაზე განაწილდეს. ჩვენ შევიტყვეთ რომ თხოვნა შეაქვსთ ზოგიერთ მღვდლებს, რომელთაც 300 მ. აქვსთ დანიშნული ჯამაგირად, ითხოვენ ეს ახლად გამოსული ჯამაგირები მათ დაენიშნოს და 600 მანეთად შეუსრულეს. თუ

ქ. მარტვილის სახ. საქ. ს

ეს გამართლდა ეს უმეტესი უკანონობა იქნება. დიდი მრევლისაგან ბევრს შრომის მეტი არაფერი აქვსთ. პირველი უქაზი სინოდისა აცხადებდა, რომ სანამ ყველა კრებული იმპერიისა არ მიიღებს ოთხას მანეთს ამაზე მეტი არავის მიეცემაო. შემდეგ დაიწყება გადიდება ჯამაგირებისაო 600 მანეთამდე. არა გვჯერა, რომ მღვდელთ-მთავარმა 400 მ. ჯამაგირიანების კრებულის თხოვნას ჯამაგირის მომატებაზე ყურადღება მიაქციოს...

ამ წელიწადში როგორც ისმის, ოთხასი ათასამდე არის გამოსული ჯამაგირი სამღვდელოებისათვის. ვინ იცის რამდენს გვიწყალობენ ჩვენი დიდებული ბატონები? სინოდსაც გაუგია თუ რა ხდება ზოგან ამ ჯამაგირების განაწილების საქმეში და გარდაუწყვეტია, რომ ეს ჯამაგირები რაც შეხვდება თითეულ ეპარქიას პირდაპირ ეპისკოპოსებს გაუგზავნონ და თვითონ ეპისკოპოსებმა თავის შეხედულებით დაურიგონ მათ ვისაც უფრო ეჭირვება, მხოლოდ სამღვდელოების კრებას უნდა დაეკითხოს ამ ჯამაგირების გაყოფაზე. ეს არის უკანასკნელი ღონის ძიება, რომ ახალი ჯამაგირები კანონიერად გაიყოს სამღვდელოებათა შორის. არა გვჯერა, რომ ამ საშუალებით მოისპოს უკანონობა, რომელიც ხშირად მოხდება ხოლმე სამღვდელოებაში ამ ჯამაგირების განაწილების გამო. ჩვენ სულ წინაპირველად განვაცხადეთ და ეხლაც კიდევ განვიმეორებთ, რომ კანონიერი განაწილება არ მოხდება სანამ თვით უჯამაგირო კრებულნი არ გარდასწყვეტენ, თუ ვინ მიიღოს გამოსული ჯამაგირი პირველად და ვინ ბოლოს. ამისათვის საჭიროა პირველად ის შევიტყოთ თუ რამდენ კრებულს ეძლევა ჯამაგირი. ამის შემდეგ უნდა შეკრიბონ სხვა და სხვა ადგილას ეპარქიაში უჯამაგირო სამღვდელოების კრებულნი და მათ დაანიშვნიონ კრებულნი, რომელთაც უნდა მიიღონ ახლად გამოსული ჯამაგირი. ამით ყოველგვარი დრტვინვა, უკმაყოფილება და მასთან „საშრომის“ ხარჯიც მოსპობილი იქნება. ამ კითხვის გადაწყვეტაში თუ ჯამაგირიანმა დეპუტატებმა მიიღეს მონაწილეობა ყოველთვის თავიანთ ნაცნობებისა და მონათესავებისათვის მოინდომებენ. თვით უჯამაგირო სამღვდელოება კი მართლად მოიქცევა და მიუდგომლად. პირველი, საშუალება იქნება, ვიმეორებთ, კანონიერად ახლად გამოსული ჯამაგირების გაყოფისა ის, რომ თვითონ უჯამაგირო სამღვდელოების კრებულთა გარდასწყვიტონ ვის მიეცეს წინ და ვის—ბოლოს.

მაგრამ ერთი კითხვა არის გაუგებელი. სინოდის უქაზი შეეხება ალბათ რუსეთის ეპარქიის სამღვდელოებას და ჩვენში ადგილობითი ეპისკოპოსებს, რომ ენდონ რაღაცა არა გვჯერა. შეიძლება ეს განაწილება ისევე კანტორის კეთილ შეხედულებას დაუქვემდებარონ „ჩვენებურად, ძველებურად“...

სოფლის ხუტესი.

ქრისტიანის დამოკიდებულება დროებასთან.

> თავის-განწირულება მოითხოვს მხნეობას; იგი არის დიდად ძვირფასი სიკეთე?. ძნელ დროში ვინ არ მოინდომებს მიჰბაძოს წმინდა მოწამეებს და ქრისტეს, თავის უფალს?

ხშირად გვესმის ჩვენ ჩივილი ცუდ დროებაზე. ამ ჩივილს ვპოვებთ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზედაც და გვესმის კერძო ლაპარაკშიაც.

განუხილველად იმისა, რომელი წყაროდგან წარმოსდგება ასეთი მსჯელობა, ან ყოველ შემთხვევაში საფუძვლიანია, თუ არა ეს ჩივილი, ჩვენ თვითონ ვემატებით უკმაყოფილოთა რიცხვს; როდესაც რაიმე უკმაყოფილება შეგვემთხვევა, ან როდესაც უქონლობისა გამო ისე ხელ-გაშლილად ველარ გიხდება ცხოვრება, როგორც გვინდოდა; ან როდესაც მოგვატყუებს ბოროტი ადამიანი, ან როდესაც სიკეთისათვის, ნაცვლად სიკეთისა, უმადურად გვექცევიან სხვები; ან როდესაც ჩვენისავე ბრალით ჩავარდებით რაიმე უბედურობაში; —მაშინ ჯენესით ვამბობთ: ცუდი დროება დადგა! ქვეყანა თან და თან ფუჭდება!

უეჭველია, ასეთ ჩივილს ექნება გავლენა ჩვენის სულის მდგომარეობაზე და ჩვენს ყოფა-ქცევაზე. რადგანაც როგორი წარმოდგენილებაც გვექნება ქვეყნიერებაზე და ხალხზე, იმის შესაფერად გვექნება ჩვენ განწყობილება იმათთან.

ამიტომ უნდა გამოსცადოს თავის თავი, თა-

ვისი შეხედულობა, უნდა ჩაუფიქრდეს დამშვიდებულს დროს: რათ ვჩივით ჩვენ ცუდ დროებაზე? მართლა ეს დრო წინანდელზე ცუდი გახდა? გვაქვს ჩვენ სამართლიანი მიზეზი უკმაყოფილებისა ქვეყნიერებით?

თუ ჩვენ გავშინჯავთ, რა აიძულებს ხალხს უკმაყოფილებას, მაშინ გავიგებთ რომ ბევრი მიზეზები აქვს ამას

ზოგი სჩივის იმაზე, რომ აღარ არის საზოგადო და კერძო კეთილმდგომარეობა; რომ ხალხი თან და თან ღარიბდება, ასე რომ საძნელო გახდა ოჯახის შენახვა და შვილების გამოზდა.

მოხუცებულები ამობენ, რომ ძველ დროში უფრო ყველაფერი უხვად იყო და უფრო კმაყოფილი იყო ხალხი.

მართლა შეიძლება ყველა ეს ჩივილი იყვეს საფუძვლიანი, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, რომ არ გავაზვიადოთ ჩვენი უკმაყოფილება.

ჩვენი დრო არის მზგავსი ძველი დროისა, მაგრამ ჩვენა ვგრძნობთ მარტო ჩვენ ტანჯვა-წვალებას, და არ ვამჩნევთ იმ ძნელ გარემოებას, რომელსაც განიცდიდნენ ჩვენი წინაპრები. ამისთვის ვამცირებთ ჩვენ დროს და ვაქებთ წარსულს. მაგრამ ისტორია გვარწმუნებს ჩვენ, რომ წინანდელი ხალხი ბევრ შემთხვევაში ჩვენზე უბედური იყო.

მართალია, ეხლანდელი გარემოება მეტად ძნელია; მაგრამ განა გაუთავებელი არის რამე ქვეყანაზე? ეგრეთვე ეხლანდელი ძნელი მდგომარეობაც ადრე თუ გვიან გაივლის, გათავდება და მის ნაცვლად დადგება მშვიდობიანობა. მაგრამ როცა ეს გარემოება გაივლის, განა ჩვენ ვიქნებით სრულიად კმაყოფილები? ნუ მოვატყუებთ ჩვენ თავს! მშვიდობიანობის დროსაც, ახალი უკმაყოფილება რამე გამოჩნდება. არავინ არ არის ბედნიერი ყოველ დროს. „კმა არს დღისა მის სიბოროტე თავისი“ (მათ. 6,34), ამობს მაცხოვარი. არა ქვეყანა და დროება აუბედურებენ კაცს, არამედ თითონ კაცი აუბედურებს ქვეყანას და თავის დროებას. გონიერ და სამართლიან ქრისტიანს თვით უდიდეს უბედურებაშიაც შეუძლიან შეინარჩუნოს შეურყეველი მყუდროება. კმაყოფილი თავის ბედით, რომელიც მიარგუნა მას ღვთის განგებამ, იგი სცდილობს თვითეულ დღეში გამოსძებნოს რაიმე სიხარული სიკეთის მოქმედებით თავის შეძლებისა დაგვარად.

უფრო მომეტებულად საფუძვლიანად მიგვაჩნია სხვების ჩივილი ხალხის გაფუჭებაზე, ზნეობის დაცემაზე, ბიწიერების გამრავლებაზე. ისინი სჩივიან ახალგაზობის საქციელზე, რომელიც პატიოსნებას დასცინის და გაურბის სასარგებლო მოღვაწობას, ისინი უჩივიან ბევრი იმნაირი მდიდარი ადამიანის საქციელს, რომელთაც თავის სიამოვნების მეტი აღარა ახსოვთ-რა. ისინი სჩივიან ეკკლესიების დაცარიელებას და გარყვნილობის სახლების ავსებას. ისინი სჩივიან კეთილი ზნე ჩვეულობის დატოვებას, თვით უბრალო საკადრისობის შეურაცხყოფას, როდესაც ყველაზე სამარცხვინო ბიწიერებას არქმევენ კეთილი საქმის სახელს: ალერსიანობას ჰქვიან ცხოვრების ცოდნა; გარყვნილობას ჰქვიან ალერსი; მოტყუებას—კეთილ-გონიერიერება; მრუშობას—სისუსტე; უღრთოობას—განათლება!.

მართალია, ყველა ეს ჩივილებიც საფუძვლიანია, მაგრამ ყველას არ ეკუთვნიან ისინი. ბევრია ჯერ კიდევ ხალხში ისეთი, რომელსაც ღმერთი სწამს და უყვარს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. ბევრია ჯერ ხალხში ისეთი, რომელსაც სძულს ბიწიერება და ისწრაფვის სიკეთისაკენ.

მართალია მიდრეკილება ბიწიერებისაკენ ყველგან გავრცელებულია; მაგრამ ეგრე იყო თავიდანვე. დავითიც სჩიოდა, რომ კეთილმსახურნი თან და თან ცოტავდებიანო. ქვეყნის დასაწყისიდგან არის გართული ბრძოლა სიკეთესა და ბოროტების შუა. ჩვენ დროს აქვს თავის საკუთარი ბიწიერება, მაგრამ სხვა დროსაც ჰქონდა თავისი საკუთარი. როგორ წინააღუდგებოდნენ წინასწარმეტყველები, როგორ სამდურავს აცხადებდა თვით მაცხოვარი და მისი მოციქულები წინააღმდეგ მაშინდელი დროის ბიწიერებისა! ჩვენ დროშიაც კაცობრიობის მეგობრები წინააღუდგებიან ზნეობის გახრწნილებას.

რანაირიც უნდა იყვეს დროება, იმას აქვს ყოველთვის თავისი ცუდი და კარგი მხარე, როგორც ეს აქვს ყეველი კაცის ჰასაკს. ჰასაკი პატარა ბავშვისა აღსავსეა სიხარულით, მაგრამ მასთან ცრემლებითაც; მოზრდილ კაცს აქვს სხვა და სხვა სიამოვნება, მაგრამ მასთან—ზრუნვა და მწუხარება,

რომელიც ბავშვობაში უცნობი იყო მისთვის; მოხუცს აქვს თავისი წყნარი სიხარული, მაგრამ თავისი სიძნელეც.

რანაირი ცუდიც უნდა იყვეს დროება, ქრისტიანმა მაინც არ უნდა დაჰკარგოს მხნეობა, რაც ცუდი იქნება და გაფუჭებული დროება, იმდენათ მომეტებულად კარგი უნდა იყვეს კაცი. ამისთვის პავლე მოციქულმა ამცნო ქრისტიანებს: „ეკრძალენით უკვე, ვითარ განკრძალულად ჰხვალთ, ნუ ვითარცა უგუნურნი, არამედ ვითარცა ბრძენნი; გამოცდიდით ჟამთა; რამეთუ დღენი ბოროტნი არიან“ (ეფეს. 5, 15, 16).

გონიერობა მოითხოვს, რომ კაცი ფრთხილად იქცეოდეს ბოროტ დროში; ესე იგი, იმნაირათ მოაწყოს თავის ცხოვრება, რომ მისი დროის ბოროტებამ არ დასჯაბნოს იგი, გარყვნილობამ არ შეიპყროს იგი, და ხიფათმა არ ავნოს მას.

ამისთვის, რაც უფრო ცუდი დროა ეხლა, მით მომეტებულად გამხნევდი, ქრისტიანო, რომ მტკიცედ შეხვდე მას. რომელიც ბოროტ გარემოებაში ცოტათი, ან სრულიად ჰკარგავს სარწმუნოებას და მხნეობას, იგი უკვედ ღუპულია; ესეთი კაცი ველარ შესძლებს შეებრძოლოს უბედურობას თავის ძალით, რომელიც დაკარგული აქვს შიშით. მიანდე შენი ზრუნვა ყოვლად შემძლებლის განგებას, იმაზე გქონდეს შენი მტკიცე სასოება, ის არის შენი თავშესაფარი, მფარველი, შენი მშველელი. ნუ დასტოვებ სარწმუნოებას ღვთისა მიმართ, და ისიც არ დაგტოვებს შენ; და როდესაც ღმერთი შენთანაა, ვის-რა შეუძლიან?

კამხნევდი! თორემ უამისოდ არ გექნება შენ არც წინადახედულობა გონიერი ადამიანისა, არც ძალა, რომ არ დაჩაგვრინო მოსულს უბედურობას. ამისთვის ნუ სჩივი დროების გაფუჭებას. ასეთი უსარგებლო ჩივილი შენც სულ-მოკლეთა გხდის და სხვასაც უსუსტებს მხნეობას, ისევ ისა სჯობიან, შენც გამხნევდე და სხვაც გაამხნეო სანაქებო სიმტკიცეზე. ყველაზე ძნელ გარემოებებში აჩვენე სიდიადე სულისა, ამითი შენ გაამხნევებ სუსტებს, რომელნიც სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ. არ არის ისეთი ბოროტება ქვეყანაზე, რომლის ძლევაც არ შეიძლებოდეს ამაღლებულის გრძნობის ძალით.

კამხნევდი! ნუ დაგავიწყდება, რომ თითონ ღმერთი განაგებს ქვეყნიერობას; ნუ დაგავიწყდება, რომ ყველაფერი რაცა ხდება, სასარგებლო იქნება ჩვენთვის.

ვინც ამისთანა აზრებით ხვდება გაფუჭებულ დროებას, ის არის ღვთის მფარველობის ქვეშ, იმას წინ უძღვის ყოვლად-შემძლებლის მარჯვენა, ის არასოდეს არ დაიღუპება.

„გამოიცდიდით ჟამთა, რამეთუ დღენი ბოროტი არიან“—ამბობს წმ. მოციქული, როგორც მოციქულის დროს, აგრეთვე ეხლაც გაფუჭებული ზნეობა დასცინის კეთილ-ზნეობას; როგორც მაშინ, ისე ეხლაც, ამაყი უალრესობა მძლავრობისა ჰქენჯნის საღმრთო უფლებას ადამიანისას, მზაკვარი ბოროტება უმწეო უმანკოებას, დაბალი ვერაგობა—გულ-კეთილ სულგრძელობას. როგორც წინათ, ისე ეხლაც, მომეტებული ნაწილი იმის ნაცვლად რომ მოსდრკეს წინაშე ყოვლად-შემძლებლის შემოქმედისა, სდრკება ამა ქვეყნის კერპების წინაშე, წინაშე ოქროსა, ვერცხლისა და ქვეყნიურის შემძლებლობისა! ჩვენ ისე კი არ უნდა მოვიქცეთ, როგორც ბევრი სხვა იქცევა, ესე იგი, პატივი ვცეთ „ბედნიერ“ ბიწიერებას და შეურაცხვყოთ მოძულებული სიკეთე. არა, ჩვენ უნდა გავშინჯოთ გაფუჭებულება ჩვენი თანამედროვეებისა, რომ არ გადმოვიღოთ იგი ჩვენზე, უნდა შემოვზღუდოთ ჩვენი სიკეთე კეთილგონიერებით და სიფრთხილით, რომ არ გავხდეთ მსხვერპლი გაფუჭებისა.

თუ გარყვნილობა იმარჯვებს შენს ახლოს, —მაშინ წადი შენ, შეუერთდი კეთილ ადამიანებს და მედგრად იმოქმედე წინააღმდეგ დამღუპველი მისი შედეგებისა. ამნაირად შენ შეასუსტებ შენი დროის ბოროტებას. დაამტკიცე რომ სიკეთე სჯობიან სიბოროტეს, რომ სიკეთეს ჰყავს კიდევ მომხრეები, ხოლო სიბოროტეს—მდევნელები, და რომ თავხედობა ამაოდ სცდილობს გააუპატიუროს ყოველივე წმინდა...

თუ შენს გარშემო ხდება ღვთის დავიწყება, და სიძულვილი წმინდა სარწმუნოების მიმართ ურცხვად იმაღლებს თავის თავს,—დაამტკიცე შენის მაგალითით, დაამტკიცე სხვა კეთილ ხალხთან ერთად, რომ ნამდვილი სიკეთე არ შეიძლება თვინიერ ღვთის სარწმუნოებისა, თვინიერ სასოებისა საუკუნო ცხოვრებაზე. პირველად შენ უნდა სცდილობდე მოიქცე ქრისტიანობრივი სარწმუნოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმად და ამით დაამტკიცებ, რანაირ კეთილისმყოფელ ძალას იძლევა ეს სარწმუნოება.

ასეთია ქრისტიანი დროებასთან დამოკიდებულობაში! რამდენათაც უნდა გამოიცვალოს დროება,—ქრისტიანის გული ყოველთვის ერთნაირია. და როგორც კაცი ყოველთვის ერთგული დარჩება ღვთისა და კეთილი საქმეებისა, აგრეთვე უზენაესის მადლი არ დასტოვებს მას. ამნაირათ მეც მოვიქცევი ამ დროში ფრთხილად, არა როგორც უგუნური, არამედ როგორც ბრძენი! შენზე ვსასოებ მე, ღმერთო ჩემო, შესავედრებელო ჩემო, და მფარველო ჩემო! არასოდეს არ დავეცემი სულით, რანაირი უბედურიც უნდა გახდეს დროება, თუ მე მექნება წმინდა გული და ღვთის სარწმუნოება, არავითარ უბედურობას არ შეუძლიან ჩემი ძლევა. შენ ხარ, ზეციერო მამაო, ჩემი იმედი, ჩემი საფარი, ჩემი პატრონი. რანაირ საშინელ გარემოებეებში გაიარა შენმა ქვეყნიურმა ცხოვრებამ, იესო, მეგობარო ჩემის უკვდავი სულისაო! შენ, ყოვლად წმინდას, გდევნიდნენ და დაგცინოდნენ ყველაზე მომეტებულად, შენ ხშირად არ იცოდი, სად შეგეფარებინა თავი, მაგრამ ყველა ამ გარემოებაში შენ გქონდა სიმშვიდე სულისა, იმიტომ რომ გონიერი და მართალი ყოველ შემთხვევაში თავის სულში ატარებს ზეცას. შენ იყავ გარემოცული ცოდვილი ხალხით; იმათ შენ გტანჯეს, ჯვარს გაცვეს, ყოვლად მართალი, მაგრამ შენ მაინც გქონდა შენი სიმხნე, შენი სიმშვიდე სულისა.

უფალო! მეც მომეცი მხნეობა და სიმტკიცე ამ განსაცდელ დროებაში, რომ მოგბაძო შენ, იესო! ღმერთო! შემეწიე მე.

მდგ. იოანნე ᲥᲣᲙᲘᲐᲜᲝᲖᲘ.

ᲮᲛᲐ

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲐᲚᲘᲓᲕᲐᲜ.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ.

თუ ყურად-ვიღებთ,
არ დავიძინებთ
არც გონებითა,
არც ზნეობითა,—
ჟამნი წლისანი,
თუმც არ ხმოსანნი,
დუმილ გვითხრობენ,
სიმართლეს ჰხმობენ

—

ვთქვათ, გასაფხული
მიმადლებული
თვისი მოვლენით
და მოქმედებით
რამთონ გრძნობასა,
მაღალ ცნობასა,
ჩვენ წინა გვიშლის
და შეგვასწავლის?!.

—

მცენარეთ ბუნებას,
მათსა არსებას,
ზამთრით შეკრულსა,
დაძინებულსა,
იგი აფხიზლებს,
წყნარად აღვიძებს,
მთლად აცხოველებს
და ასუნნელებს.

—

ტყენი, მინდორნი,
ახლო თუ შორნი,
ხევნი და ველნი,
თვალთ უწვდენელნი,
რიცხვით მრავალნი,
ახლად აღმძრალნი,
კაცთ შეჰღიმიან
და შესცინიან.

სხეულსა ვაძღობთ,
ნაზათა ვამკობთ,
ხოლო არ ეფიქრობთ
და არცა ვსაზრობთ,
რომა კაცისთვის,
ვით უკვდავისთვის,
პირველად უფრო
რა არს საჭიროᲜ?..

—

ღმერთისა ცნობა,
კეთილ-ზნეობა,
ამკობენ სულსა,
ხორცით მოცულსა,
ვით გაზაფხული,
ეს კურთხეული,
ამკობს ბუნებას,
გარე არსებას.

—

ბუნების ძილი,
ვითომ სიკვდილი,
მის გაღვიძება
და აღდგინება
ჩვენ გვარწმუნებენ,
შეგვაგონებენ,
რომ ღვთის ქმნილება
სულაც არ ჰქრება:

—

იგი მხოლოდა
მარად—მარადა
სახესა იცვლის,
ჩვენ წინა გვიშლის
სიტურფავესა,
თვის სინაზესა,
გვაძლევს საჭმელსა,
მასთან სასმელსა.

ვენახი, ბალი,
მიწის წიალი,
კაცის შრომითა,
მისი ოფლითა
შეკეთებულნი,
შემზადებულნი,
მას ახარებენ,
ანუგეშებენ.

—

ეს, ხომ, ყოველი
არს ხორციელი,
არს მიწიერი,
წუთ-ჟამიერი!..
ამ სიმართლესა,
ვით სინათლესა,
ყურს არა უგდებთ
და არცა ვეძებთ.

—

სული კაცისა,
ქვეყნის მეფისა,
ხორც შორებული,
ზენად წარსული,
ნუთუ გაჰქრება,
არ შეერთდება
თვის სხეულთანა
თან მშრომელთანა?!.

—

კაცის ბუნება,—
ქვეყნის მშვენება,
არა გაჰქრება:
იგიც აღსდგება,
ოდეს ინათებს,
იცისკროვანებს
ამ ქვეყანაზე
სიმართლისა მზე...

—

ამას გვაგონებს,
ამას გვაცნობებს,
ვით გაზაფხული,
სუნნლით შემკული,
ისე გონება,
მასთან შეგნება,
თუ მათ ვამაღლებთ,
არა ვადაბლებთ...

ღვთიური წესი
დიდ უმტკიცესი
აქა მოქმედებს.
ის იმორჩილებს
მთლად ბუნებასა,
ვით ქმნილებასა:
აქა სრულდება
ღვთის წმინდა ნება...

—

ასე, ბუნება,
გარე არსება,
დაძინებული,
დაჩუმებული,
ახლად იღვიძებს,
დიდებ-მეტყველებს
თვის შემოქმედსა,
ყოველთ იმედსა.

—

ასეთ წესითა
ზეციერითა
მიწა ნოყივრობს
და ნაყოფივრობს;
ყოველ ცხოველსა,
მიწაზე მსვლელსა,
ჰკვებავს, ვით დედას,
თვის წიალზედა.

—

ესა ყოველი
არს საკვირველი
ღვთის ძლიერება,
მის მოქმედება;
ეს არის სუფრა,
გაშლილი მაგრა
მის მარჯვენითა
კურთხეულითა.

—

ამას სუფრაზე
დიდ მშვენიერზე
იკვებებიან,
მარად ძღებიან
როგორცა კაცნი,
აგრეთვე მხეცნი,
ცისა მფრინველნი,
მწერნი ყოველნი.

ზაფხული.

თუ გაზაფხულით,
უფრო ზაფხულით
ბუნება ხარობს,
ღონივრ მოქმედობს:
გვიდგენს სურათსა
მეტადა ცხადსა
სიცოცხლისასა
და შრომისასა.

—

ოკეანენი
და მდინარენი,
ტბანი და ზღვანი,
თბილად მოძრავნი,
ორთქლოვანებენ
და სწილადებენ
მიწას წვიმასა
წყნარს ჟუჟუნასა.

—

მიწა სველდება,
მით პოხილდება;
ყველა მცენარეს,
ტკბილსა თუ მწარეს,
ჩვენსა სწილადებს,
დედობრ აწოვებს,
ძალასა აძლევს,
ამგვარად ამხნევს.

—

მისი მადლისა,
სიყვარულისა,
აქ არს ტრაპეზი,
არს ასპარეზი,
სადაცა სული,
ცოდვით მოკლული,
იძენს ყოველსა,
მაცოცხლებელსა.

—

სულის საჭმელი,
მისი სასმელი,
მისი ცხოვრება,
ჭეშმარიტება,
არის თვით ქრისტე,
ღმერთი მეუფე;
ამას თვით გვითხრობს,
ზეციდანა ჰხმობს:

ასე, სოფლისთვის,
ამა ხრწნადისთვის,
ღმერთი მაღალი,
ზენაურ ძალი,
ესოდენ ზრუნავს,
არასა ზოგავს,
ყველასა სწყალობს,
ყველას ჰფარველობს.

—

შემდეგ ამისა,
ასეთ ზრუნვისა,
იგი უფალი,
უცვლელი ძალი,
ნუთუ არ ზრუნავს,
გულსა იხურავს,
კაცის სულისთვის,
ვით უკვდავისთვის?!.

—

ჰი, რომ ზრუნავს,
გულს არ იხურავს,
ყოვლად მოწყალე,
ყოფლისა შემძლე:
სულიერ სოფელს
მადლსა უკლებელს
უხვად იგი ჰფენს,
როგორც თვით გვასმენს.

—

ზაფხულზე ფიქრმა,
მის შინაარსმა,
ეს გვაგრძნობინა,
შეგვატყობინა;
ამას ყოველსა,
ვით სიმართლესა,
ვუძღვნით ყოველთა
კეთილ-მსურველთა.

—

შემოდგომა.

შემოდგომის დრო,
არის მეტ უფრო
მიწის ნაშრომთა,
მისი ნაყოფთა,
მოვლა კრეფისა,
კაცთა ზრუნვისა,
მოძრაობისა,
შეძინებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისა ტრაპეზთან
ცხოველს-მყოფელთან
ყოველი სული,
გონით შემკული,
თვისი ნებითა
და შეგნებითა
უნდა მოვიდეს,
მტკიცედ დამკვიდრდეს...

—

თუ რომ ნებითა
და შეგნებითა
კაცი ცოცხალი,
ქვეყნად მავალი,
ხილულ საზრდოსა,
ვით საჭიროსა,
არა შეიკრებს,
იგი ინანებს...

—

ასე, გონება,
მაღალ შეგნება,
კეთილი ნება,
სარწმუნოება,
კაცს აცოცხლებენ,
ანეტარებენ
როგორც ქვეყნადა,
ისე ზენადა.

—

მათი დაკარგვით,
არა დაკრძალვით,
როგორცა აქა,
ეგრეთვე იქა,
კაცს უმზადდება,
არა ასცდება.
ღვთის მრისხანება,
ტანჯვა-ვაება...

—

ის მართალია,
კაცის ვალია,
რომ მან იშრომოს,
მუდამ იმხნევოს,
ცხოვრების პური,
არსი მიწური,
მან მოიპოვოს,
მით ისაზრდოვოს.

აქ გვაგონდება,
წინა გვიდგება,
ქრისტეს იგავი,
გულისა მწვავი,
მის ქადაგება
და დარიგება,
ოდესმე თქმულნი,
მარად სულ-დგმულნი...

—

იგი ცხოველი,
ყოვლის-მპყრობელი.
მოვიდა ქვეყნად
შესაგონებლად,
რომ აქ ცხოვრება
და გამდიდრება
არს მიწიერი
და წუთიერი.

—

მისი სწავლითა
ზეციერითა
კაცის ბუნება,
მისი არსება,
არის ორგვარი,
ღვთიურ შემდგარი,—
ხორც-სულიერი,
დიდ მშვენიერი.

—

ამისა გამო
ჩვენ ზეგარდამო
გვესმის ღვთისა ხმა,
ვითარცა აღთქმა,
რომ შეგნებითა,
მოსაზრებითა,
აქ ვიმუშაკოთ,
ბუნება ვამკოთ,

—

ამის შეგნებას,
ცნობა-გაგებას,
შემოდგომის დრო
მეტადრე უფრო
ჩვენ გვიქადაგებს,
დედობრ გვარიგებს:
ესა ვისმინოთ.
სიმართლე ვიცნოთ...

ეს არ არს ცოდვა,
მიზნის დარღვევა;
მიზანს ის არღვევს,
ღირსებას ართმევს,
ოდესა კაცი,
ბუნებრ არ მხეცი,
მხეცს ემსგავსება,
ისე ბრმავდება...

—

კაცის სიბრმავე,
ზნეურ სიავე:
მაშინ ცხადდება
და იხატება,
ოდესა კაცსა,
ვითა უკვდავსა,
თვისი ღირსება
სულ ავიწვდება...

—

იგი თვის სულსა,
ზეცისთვის ქმნულსა,
ტყუილად არჩევს,
ამაოდ იწვევს
მხოლოდ მაცდურზე
ხრწნადის სუფრაზე:
„გაქვს ბევრი რამე,
იხარე ჭამე!“...

—

ჩვენ მომაკვდავთა,
ზე მიმავალთა,
უნდა ვიცოდეთ,
გულითა ვგრძნობდეთ:
რაც ხორცსა უნდა,
სულს ის არ უნდა:
სულის საჭმელი
არის უხრწნელი:

—

ქრისტეს რწმუნებით,
კეთილ-ზნეობით.
სული იმკობა:
შეგნება, გრძნობა
მას უმაღლდება,
მითი მზადდება
უკვდავებისთვის,
ნეტარებიათვის.

ზამთარი.

ოდეს ზამთარი,
ეს დრო მყინვარი,
მოივლინება
და ესტუმრება
გარე ბუნებას,
მიწიერებას,
იგი იძინებს,
მითა ისვენებს.

—

ძილი, სვენება
და გაღვიძება
შვენის ბუნებით,
ღვთის დაწესებით,
როგორც მცენარეს,
დიდსა თუ მცირეს,
ისე ცხოველთა,
ვითა მშრომელთა.

—

ზამთრის მოვლენა,
მის წარმოდგენა,
არის შედგეი,
ბუნებრივ რიგი,
თბილისა მზისა,
დაშორებისა:
მაშინ მის სხივნი,
არიან ძვირნი.

—

გარდა ქვეყნისა
მიწიერისა,
გარდა ძილისა
ხორციელისა,
არის ცხოვრება
და მოქმედება
სულიერიცა,
ზნეობრივიცა.

—

ამ ცხოვრებაში,
მოქმედებაში,
ბილწ-ბოროტება
და გაკერპება,
უგრძნობელობა,
შეუპოვრობა,
ადგენენ ძილსა,—
სულის სიკვდილსა:

ვინც არა ისმენს,
არამედ იწყენს,
კეთილ რჩევასა,
დარიგებასა,
გულით ხვეწნასა,
ტკბილად თხოვნასა,
არს სიკერპეში,
დიდ სიბნელეში.

—

ამ საქციელით,
არ სასურველით,
კაცისა გული
შეწუხებული
მეტად ცივდება
და იყინება:
გრძნობს ჟრიანტელსა
მწარედ მკვლელსა...

—

კაცისა სული,
გონით შემკული,
მით ბოროტდება,
ზნეობრივ კვდება,
უგუნურდება,
რომ თვით შორდება
უფლისა მადლსა,
ცხოველსა ძალსა.

—

თუ გაზაფხულზე
ისევ იგი მზე
არ დაბრუნდება,
მით არ გათბება
მყინვარი მხარე,
მის არე-მარე.
ყოველ სულდგმული
იქმნება კლული.

—

აგრეთვე სული,
ცოდვით მოკლული,
თუ არ იღვიძებს,
არა შეიგნებს
ღვთის განშორებას,
მადლის მოკლებას,
დარჩება მკვდარი,
ზნეობრ მყინვარი...

იგი არს წიგნი;
არის გვირგვინი
ღვთისა სიბრძნისა,
მის დიდებისა,
არს სახარება,
რომ კაცთ ბუნება
არს უკეთესი,
უძვირფასესი.

—

ამა ბუნებას,
ვითა ასეთსა,
შვენის შეგნება,
ღვთისა რწმუნება,
კეთილ-ზნეობა,
არ თავხედობა:
შვენის კეთილი,
ცხოვრება ტკბილი...

—

ესა ცხოვრება,
ვით ნეტარება,
მოიპოვება,
შეიძინება
ღმერთისა ცნობით,
კეთილ-ზნეობით:
სხვა-გვარ სახსარი
მისთვის არ არი.

—

მეცნიერება,
თუნდ ძლიერება,
თუნდა სიმდიდრე,
დიდი თუ მცირე,
ამა სოფლისა,
ვითა ხრწნადისა,
იტოვებიან
ცივ სამარესთან...

—

ვინც ერიდება,
ვინცა შორდება
ღვთისა ცნობასა,
ზენა გრძნობასა,
იგი ცივდება
და იყინება
როგორც ხორცითა,
ისე სულითა.

სრული ბუნება,
ვით ღვთის ქმნილება,
თვისი არსებით
და მოქმედებით
სიბრძნესა გვიდგენს,
სწავლასა გვიჩენს,
თუ რომ ვიფიქრებთ
და მოვისაზრებთ.

—

ბუნების გული,
მადლისა სული,
მუდმით ხმას იღებს,
ყველას აღვიძებს
ზნეობრ ძილისგან,
ვით სიკვდილისგან.
ეძებს მსმენელთა
თანამგრძნობელთა:

—

ეძებს კერაზე,
გლახაკ-მდიდარზე,
სწავლის ტაძარში,
ცოდნის საცავში,

მოხუც—ყმაწვილში,
ყოველ თვის შვილში,
ყველასა ეძებს,
ზენად უთითებს...

—

აქ არს მიზეზი,
რომ ასპარეზი
კაცთ ცხოვრებისა,
მოქმედებისა,
არს შესისხლული
და წაბილწული
თავხედობითა
და მხეცობითა...

—

მხოლოდ მსმენელნი
და შემგნებელნი
ასეთი ხმისა
ზეციერისა
იხილვენ ღმერთსა,
თვის შემოქმედსა,
ვითა მიზანსა
ცხოვრებისასა...

მკვდრის რჩევა.

(რუსულიდან).

ბაბილონის მეფის დიდის რამზეზის სასახლე მოცული იყო სრულის მყუდროებით; კარის კაცები დახეტიალობდენ, უხმოდ როგორც აჩრდილნი. მეფე იწვა მძიმე ავათმყოფი. მისი სიცოცხლის დღენი ჩამოთვლილი იყო. სიკვდილის დღეს მოუწოდა თავის მემკვიდრეს მენეფტას და უთხრა: შვილო ჩემო, შენ მალე ახვალ ტახტზე და დაიჭერ ჩემს ადგილს; მძიმე არის ეს მემკვიდრეობა. ოხ! რა მწყინს რომ სიბერძნე ცხოვრებისა მომიახლოვდა სიბერის დროს, მაშინ როდესაც მე არ ძალ მიძს მითი სარგებლობა. მიიღე ჩემგან ეს დარიგება: „ნუ წამბაძავ მე; მხოლოდ სახელი,

მტრებზე გამარჯვება, დამორჩილება სხვა ხალხთა და დაპყრობა სხვათა ადგილთა შეადგენდენ ჩემი მეფობის უმთავრეს მიზანს; ყველა ამაებს მე მივაღწიე, მაგრამ რითი, როგორი სასყიდლით? მე დავანგრიე ასობით ქალაქები, ავაოხრე აყვავებული ქვეყნები, დავლუპე ასი ათასობით ჩემი და სხვის ჯარის კაცნი, ვაყენებდი სისხლის ღვარს და ცრემლთა ნაკადულს. მე მაქებდენ, მგებებოდნენ აღტაცებულის ყვირილით, მაგრამ ახლა ყოველივე ესე სდუმს; ოხვრა დაჩრილთა და ტყვეთა, მოთქმა დაობლებულთა ძლიერ ავიწროვებენ ჩემს ყურთა სმენას. ბრძოლით დამპყრობნი არიან უგნურნი ხალხთა დამონებისა და ქვეყნებთა დაპყრობაში არ არის ჭეშმარიტი სახელი მეფისა. შენ ჩემო შვილო გეყოლება ურიცხვი მტერი შენს საკუთარ სამფლობელოში სიღარიბე ხალხისა, შიმშილი, ავათმყოფობანი, შავიწროება სუსტთა და უსამართლობა მძლავრთა; დრო არის რათა გაუსწორდე ამ მტრებს. ისე არაფრით არ ძალგიძს ისახელო თავი, როგორც მითი. თუ მშვიდის, ბრძნულის მართლ-მსაჯული მეფობით გააბედნიერებ შენს ქვეშევრდომთა. იცოდე შვილო, რომ მეფის მოქმედების მიზანს უნდა შეადგენდეს არა პირადი ქება დიდება, არამედ კეთილ დღეობა ხალხისა. შენ ჯერეთ ყმაწვილი ხარ; იყავი თავ-დაჭერილი; ნუ მიენდობი მლიქვნელთა ტკბილსა სიტყვასა. მწარე წამალი ჰკურნავს სნეულთა, ხოლო სიტკბოება ღუპავს ჯან-მთელ ს. გახსოვდეს, რომ, ეხლა, როდესაც შენ ტატზე შედიხარ, კისერზე გაწევს მძიმე უღელი სმმსახურისა—რომ ამიერიდან შენ ხალხისათვის და არა ხალხი შენთვის. როდესაც საჭირო იქნეს შენთვის რჩევა ვისიმე, მიმართე შენს ძველს ალმზრდელს, ბრძენ გიკოსს. ახლა-კი მშვიდობით! დღესა შენის ტახტზე ასვლისასა ზეცა იყოს შენი მლოცველი, ხოლო დღესა სიკვდილისასა ხალხი გლოცვიდეს შენ. მოკვდა რამზესი, რომელიც იქაური ჩვეულებისამებრ შემურეს წამლებით და დააყუდეს კატაკომბაში.. ტახტზე ავიდა მენეფტა. ყველანი ელოდა, რომ ყმაწვილი მეფის ტახტზე ასვლას თან მოჰყვებოდა, ნადიმი, ბრწყინვალე დღესასწაულნი და მრავალ გვარი საჩუქრები კარის კაცთათვის, მაგრ-მ მოსტყუვდენ. მეფე სრულიად გაიტაცა საქმეებმა: ესწრებოდა განზრახთა საკრებლოებს, იკვლევდა სჯულის კანონებს, ხშირად შამოუვლიდა და ნახულობდა თავის სამფობელოს, გაჰყავდა გზები, იღებდა არხებს და სთხრიდა ჭებს. ის შრომობდა განუწყვეტლივ და კარის-კაცთაც აიძულებდა ასრეევე მოქცეულიყვნენ. ბევრს არ მოსწონდა მეფის ასეთი საქციელი და ხშირად ეუბნებნებოდნენ მას: „მეფეე, უმჯობესი იქნება შენ დაისვენო და გაერთო; ოლონდ გვიბრძანე და ჩვენც მზადა ვართ გავმართოთ შენთვის ისეთი ნადიმი, რომ მისმა ბრწყინვალებამ ქვეყანა გააცვიფროს, არა, უპასუხა მეფემ, როდესაც ბავშვები ავად, ან მწუხარებაში არიან, მამას არ ძალუძს მხიარულება. მეც არ შემიძლია მხიარულება სანამ ხალხშიდ სუფევს ათას-გვარი სამჭირნოება. გავიდა სამიოდე წელი, ყველგან გამეფდა მშვიდობა და მრთლ-მსაჯულება; ხალხი გაიმართა წელში; ხელახლა გაშენდენ სოფლები, გაფართოვდენ ქალაქები; ყველას მხიარულება და კმაყოფილება ეტყობოდა სახეზე. და ყველანი სიყვარულით იხსენიებდა მეფეს. მხოლოდ სარდალნი და წარჩინებულნი იყვნენ უკმაყოფილონი და მოწყენილნი; რამზეზის დროს ისენი იყვნენ დიდს პატივსა და დიდებაში; ღებულობდენ მეფისაგან ძვირფასს საჩუქრებს და ომიანობის დროს სარგებლობდენ დიდძალი ნადავლით. ახლა-კი ისინი იყვნენ უყურადღებოთ, მათ მოსწყინდათ უსაქმოდ ყოფნა; მიმართეს მენეფეტას, აგულიანებდენ მას ომისათვის და აღტაცებულის ხმით ეუბნებოდნენ: „მეფეე, გაგვიშვი ომში; სამშობლო დიდს განსაცელში არის; ძალა მტერისა თან და თან იზრდება შენმა ძლიერმა მამამ შემუსრა ძალა მეზობელ ხალხთა; შენი მეფობის დროს კი მტრები ღონეს იძენენ. გვიან-ღა იქნება როდესაც მტერი სრულებით გაიმართება წელში და თითონ დაგვეცემა. თუ კი სამშობლობასთვის კეთილი გსურს, მეფეე, გაგვიშვი საომრად. ჩვენ ყველანი მზადა ვართ შენს სახელს შევსწიროთ ჩვენი სიცოცხლე; გვაჩვენე მეფეე, რომ შენს სიყმაწვილეს თან უერთდება გასაოცარი სიმამაცე. მოჰფინე მსოფლიოს დიდება შენის სახელისა; დეე ქვეყნის კიდემდე იყოს განთქმული სახელი დიდის მენეფტასი.

მოხიბლეს ყმაწვილი მეფის გული გაიძვერულმა სიტყვებმა; მათ, როგორც ტკბილმა სასმელმა დაათვრეს გონება მეფისა. მეფემ იწყო მზადება ომისთვის; ჰკრებავდენ ჯარს, ამზადებდენ სანოვაგეს და სჭედავდენ იარაღს. შესდგა მეურნეობა,

მცხოვრებთ ჩამოერთვათ პური და სხვა სანოვაგე, მჭედლებმა მიატოვეს გუთნის, ცელის და ნამგლის მზადება. მწუხარებით იქნევდა გიკოსი თავს და მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როდესაც მეფე ჩამოაგდებდა მასთან ლაპარაკს, მაგრამ ველარ მოითმინა და უთხრა მეფეს: „ჩემო კეთილო მენეფტა —ნუ აჭყვები გაიძვერულ სიტყვათა, ნუ ეძიებ დიდებას მეზობლებისაგან, როდესაც შეგიძლია იგივე დიდება მოიპოვო შენს საკუთარს სახლში; დიდებული მას კი არ ეწოდება, რომელიც ჟლეტს ხალხს, აოხრებს ყველასფერს, აყენებს სისხლის მორევს და ცრემლთა ნაკადულს; დიდებულია ის ვისაც ყველგან ეგებებიან უანგარო სიყვარულით; ვისაც, როგორც მზეს, შეაქვს ხალხში სითბო, სინათლე, მხიარულება და კმაყოფილება. ნუ გეშინია შენ შენი მტრების: უკეთუ მათი ძალა ძლიერდება შენი ძლიერებაც ხომ არ სუსტდება. დრო არის მეფევ, რათა ხალხმა გადააგდოს ველური ჩვეულება; კბინოს და ჭამოს მეზობლები, და მასთან ვიფიქროთ, რომ მეზეობლებიც ამასვე ფიქრობენ. დარწმუნებული იყავი ჩემო აღზრდილო, რომ სხვა მხარეების მცხოვრებთ, როგორც შენს ხალხს უნდათ ერთი რამ: მშვიდობიანი მუშაობა საქმეში. არ იმოქმედა გიკოსის ბრძნულმა დარიგებამ მენეფტოზე; ის იყო მოწამლული პირფეროობით, გონება მისი გაჟღენთილი იყო ფიქრებით, რომ ის მთელ ქვეყანაზე გაითქვამს სახელს; რომ იმის ეტლის უკან რკინის ბორკილებით წავლენ ტყვედ ჩავარდნილნი მეფენი და წარჩინებულნი და ეს დიდის დიდებით შებრძანდება სხვის სამფლობელოში. კარგად დაუკვირდი მეფევ, ვშიშობ თვითონ არ გაება ხიფათში; ბედი ომიანობის დროს ძნელი დასანდობია. „ნუ გეშინია ჩემო მოხუცებულო გიკოს, მე ყველასფერი წინდა წინვე მოვისაზრე; მრავალ გზის ვკითხე ქურუმ-მკითხავებს და ისენი მპირდებიან მტრებზე სრულ გამარჯვებას. საღვთო გველეშაპებმა როგორც ქურუმნი მარწმუნებენ, რავარც გაიგონეს სიტყვა „ომიანობა“ მსწრაფლ შეინავარდეს თავიანთ აუზებში; საღვთო ყანჩი უანგარიშოდ ყლაპავდა ბაყაყებს და ეს კი იმას ნიშნავს რომ მე უანგარიშოდ გავჟლეტავ მტერს; საღვთო კატები კი, რაც მე თითონ გავიგონე გულის მომწყვლელი ხმით გაჰკნაოდენ „მიაუ—მიაუ“ ე. ი. წადი ნელაო. ყველაფერი ეს, მეფევ, არის გაიძვერობა და მზაკვრობა შენთა კარის-კაცთა; დაფიქრდი და ნუ ჩქარობ. გველეშაპნი ყოველთვის ხტიან და სცურავენ წყალში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ელიან საჭმელს; ყანჩი, როგორც შენ, თუ რამდენსამე დღეს დარჩა მშიერი—ხარბად დაუწყებს საჭმელის ჭამას; რაც შეეხება კატას კი, მეც შენი ულირსი მონა ვკისრულობ ვაკნავო, თუ კი დაუწყებ მას წყნანად კუდის სრესას. და მართო ეს ხომ არ არის, გააწყვეტინა მენეფტამ. მე მოვიხმე მკიხავი. ის სცხრილავდა ფქვილს ცხრილით და მეუბნებოდა: როგორც ეს ფქვილი აქეთ იქით იფანტება, ისე გაიფანტებიან შენი მტრებიო. გაეცინა გიკოსს და უთხრა: დიდი ვერაგი და მატყუარა არის ეს შენი მკითხავი. ცხრილი თითონ არ ლაპარაკობს და მასთან შეგიძლია ილაპარაკო რაც გენებება, ის წინააღმდეგობას არ გაგიწევს. თუ გსურს, მეფევ, მეც შევაბრუნებ ცხრილს და გეტყვი: „ხედავ როგორ მიქრი-მოქროდა ფქვილი? ისე მიილეწება შენი ჯარი ომის ველზედ. რას იტყვი შენ ამაზე? მასხარა ხარ შენ გიკოსო. ნუ თუ სტყუოდა ვარსკვლავთ-მრიცხველიც, რომელმაც ვარსკვლავებზე მიწინასწარმეტყველა მე სრული გამარჯვება. ისა სჯობია გიკოსო დაანებო თავი უბრალო ლაპარაკს და მოხვიდე ჩვენთან გამოსათხოვარ სადილზე. მწუხარებით ამოიხვნება გიკოსმა და სთქვა: ცხადია, მეფე დაუმონებია მლიქვნელთ და მე არ ძალ-მიძს გამოვიყვანო ის ამ მონობისაგან. იძულებული ვარ მივმართო მიცვალებულის რამზეზის დახმარებას. არ მინდოდა, მაგრამ ახლა უნდა გამოვაჩკარავო საიდუმლოება. „მეფევ, აქამდე შენ უჯეროდი ცხრილსა და ახლა გაუგონე მიცვალებულსაცა. წავიდეთ მამიშენის საფლავთან“.— „მკვდრები არ ისმენენ და არ ლაპარაკობენ“, უპასუხა მენეფტამ, „ისენი არიან მუნჯები და ყრუნი. „მართალი არის, უპასუხა გიკოსმა, მაგრამ ასეთივე მუნჯნი და ყრუნი არიან ის შენი ცხრილი და ვარსკვლავებიც, შენ კი უჯეროდი მათ; თათბირობდი კატებთან, ყანჩთა და გველეშაპთან. მიიღე რჩევა მამისგანაც. დაუჯერა მეფემ გიკოსს ჩაეშვენ კატაკომბაში; ახადეს სამი ოქროს სახურავი კუბოს, სადაც ფეხზე მდგომი განისვენებდა სხეული ფარაონ რამზესისა. აღელდა მეფე,

ცრემლები თვალებზე მოადგა, მაგრამ გასწორდა და ნელის ხმით წაიბუტბუტა: „შენ ხედავ გიკოსო, რომ მიცვალებული გაჩუმებულია? ჩვენ ტყუილად ვავიწრ.... მეფემ ველარ გაათავა. გიკოსი შეეხო მიცვალებულს ბეჭზე და მიცვალებულმა გამხმარი ხელი, რომელშიდაც ქაღალდის გრაგნილი ეჭირა წინ გაიწვადა, თითქოს მენეფტას აძლევდა. „ნუ გეშინია, მეფევ, ამაგრებდა გიკოსი მენეფტას, მიცვალებული რჩევას გაძლევს, წაიკითხე“. მეფემ ჩაიხედა გრაგნილში და იქიდან ამოიკითხა:

ვერ დაინახავ მზესა ღრუბლებში
და ნურც იძიებ სიბრძნეს გაიძვერულსა სიტყვებში
შენ გსურს დაიპყრო მთელი ქვეყანა?
მეფეს მიელის ᲫᲮᲝᲚᲝ საფლავი.
გაᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ რომ ჩვენ სულ ყველა
გარდავიქცევით ერთ მუჭა მტვრადა
ჩვენს შემდეგ რჩება მხოლოდ კეთილი
და ის ინათებს ცეცხლისა ფერად.

ჩაფიქრდა მენეფტა. დიდხანს იდგა ის გრაგნილის წინ. მოაწია საღამომ; მზე ჩაესვენა. მეფე კი უძრავად იდგა კატაკომბაში. გვიან ღამით კი ჩუმად გამოვიდნენ გარედ.—„ხვალ, ჩემო ძვირფასო აღმზრდელო, გაუშვი ᲯᲐᲠᲘ თავთავიანთ სახლში დაბრუნდეს ყველა“, ეუბნებოდა გამოთხოვების დროს მენეფტა გიკოსს. „სანამ ცოცხალვარ, ომი აღარ იქნება ჩემს სამეფოში“.

ბაბილონში ხელახლა გაისმა მხიარული სიმღერა; ხალხი მიეცა მშვიდობიან ცხოვრებას და მთელი ქვეყნიერობა აქებდა მშვიდობის მოყვარე მენეფტას.*)

მდგ. მინა მესხი.

*) ამ სტატიას სწორეთ დღეს აქვს მნიშვნელობა, როდესაც ავსტრია, ბოლგარია და სათათრეთი საომრად ემზადებიან და ამისათვის ვბეჭდავთ.

რედ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ ᲮᲐᲠᲯᲗ-ᲐᲚᲠᲘᲪᲮᲕᲘᲓᲐᲜ სჩანს, თუ რამდენი უᲯᲓᲔᲑᲐ რუსეთს უმაღლეს მმართველთა შენახვა. მინისტრებში ყველაზე მეტს იღებს სტოლიპინი—26,000 მ. საერო განათლების მინისტრი იღებს 22,000 მ., დანარჩენი მინისტრები იღებენ 18,000 მ. თითო. მინისტრების ამხანაგები 10,000 მ. 13,000 მანეთამდე. უწმინდესი სინოდის ობერ-პრკურორი იღებს 26,740 მ., ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡ კანცელარიის მთავარმართებელი—22,000 მ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲚᲘ ადმინისტრატორი მინისტრებზე მეტს იღებს. ყველაზე მეტი კავკასის ნამესტნიკს ეძლევა—60,000 მ. გენერალ-გუბერნატორები იღებენ 12,000 მანეთიდან—38,000 მანეთამდე. ვარშავის გენერალ-გუბერნატორი იღებს 38,000 მ., მოსკოვისა 36,000 მ. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია; ამას მთელი გაზეთის ფურცლებიც არ ეყოფა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ ᲯᲐᲛᲒᲘᲠᲘᲡ გარდა სხვა და სხვა „პოსობიებს და პრაგონებს“ იღებენ, გასაკვირველ ᲠᲘᲪᲮᲕᲐᲛᲓᲘᲡ მივალთ.

*** ვოლინის ეპარქიის სამღვდელოებამ ამ დღეებში გამოაქვეყნა მთავარ-ეპისკოპოსის ანტონის მიერ დამტკიცებული საეპარქიო კრების დადგენილება. სამღვდელოების კრება ამბობს: „ძალიან დაგვაღონა იმ გარემოებამ, რომ სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ სინიდისის თავისუფლების კანონ-პროეკტს, როგორც ისმის, დეპუტატთა უმრავლესობა თანაუგრძნობს. მაშასადამე, მოსალოდნელია, რომ ᲫᲔᲮ-ᲥᲕᲔᲨ გასთელავენ იმ მართმადიდებელ რწმენას, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი მრავალ-ტᲯᲣᲚᲘ სამშობლო“. კრებას დაუდგენია იᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲚᲝᲡ სინოდის წინაშე, რომ კანონ-პროეკტი არ იქნას განხორციელებული. ᲐᲔᲕᲔ დაუდგენია სხვა საეპარქიო კრებებს, დასავლეთის განაპირა ადგილებში თანდათან იზრდება და ვითარდება კლერიკალიზმი. *)

*) როგორც სჩანს **კლერიკალიზმის** სიტყვის მნიშვნელობა სრულებით არ ესმის ამ სტატიის დამწერს. განა შეიძლება კლერიკალიზმობა დასწამოს იმ სამღვდელოებას, რომელიც ყოველივე თავის მოქმედებას აფუძნებს იმპერატორის უᲭᲐᲖᲖᲔ და თვითონ თავის ნებით ვერაფერს ვერ მოიმოქმედებს?

რედ.

*** ქალაქ პეტროპავლოსკში 10 სექტემბერს სამი შეიარაღებული თავდამცემი შევიდა თათრის მაღაზიაში, სადაც მარტო ნოქარი დაჰხვდათ. თავდამცემებმა ნოქარს ფული მოსთხოვეს, მაგრამ ნოქარმა მოასწრო კარში გავარდნა და გარედან მაღაზიის დაკეტვა. თავდამცემნი მაინც არ შეშინდნენ, გასტეხეს კასსა ამოიღეს 700 მ. და ფანჯრიდან გადავიდნენ. ქუჩაში მიმავალ ეტლიდან მეეტლე გადმოაგდეს, თვითონ ჩასხდნენ ეტლში და გაიქცნენ; გზაში მჰკლეს ორი კაცი, რომელნიც ცდილობდნენ გაეჩერებინათ ეტლი. ამასობაში ბლომად ხალხი შეიკრიბა, ამოდენა ხალხი თავდამცემლებს გამოედევნა. თავდამცემლებმა ერთი თათარი კიდევ მოჰკლეს, რის შემდეგ გადმოხტენ ეტლიდან და გაიქცნენ, მაგრამ ხალხი წამოეწია და სამივე დაიჭირა. ერთი თავდამცემთაგანი კეტებით მოჰკლეს, დანარჩენი ორი ცხენებს მიაბეს კუდზე და იქნამდის აჭენეს ცხენები, სანამ სულ ნაჭერ-ნაჭერ არ დაიგლიჯნენ. პოლიციამ ვერ შესძლო წინაღმდეგობა გაეწია. დაბარებული სალდათები მაშინ მივიდნენ, როცა საქმე გათავებული იყო.

*** პეტერბურგის აკადემიის პროფესსორებს შემდეგი დაუდგენიათ: 1. აეკრძალოთ სტუდენტებს ლურჯი ფერის შარვლების ტარება; 2. დაევალოთ სტუდენტებს, რომ ყოველ წლივ წარუდგინოს აკადემიის მთავრობას სია იმ წიგნებისა, რომელებსაც გამოიწერენ სტუდენტების სამკითხველოსთვის და 3. აკადემიის სამკითხველოდან განიდევნოს გაზეთები „ბირჟ. ვედ.", „რეჩი" და „ნოვ. რუს."; ამათ მაგიერად გამოიწერენ სამკითხველოსთვის შავრაზმული გაზეთებს „რუსკ. ზნამია", „ვეჩე" და „ნოვ. ვრემ."-ს.

*** დილის გაზეთებში მოთავსებულია შემდეგი განცხადება პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილისა: „უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ამით აცხადებს, რომ უნივერსიტეტის საბჭოს დადგენილებით და საუნივერსიტეტო წესდების მე-17 პარაგრაფის ძალით ლექციების კითხვა უნივერსიტეტში შეწყვეტილია".

*** პეტერბურგი. ქალაქში 20 სექტემბრის შუადღის 12 საათიდან 21 სექტემბრის 12 საათამდის ხოლერით ავათ გახდა 290 და გარდაიცვალა 146.

კერჩსა, კიევსა, კოსტრომასა, კრასნოიარსკსა, მინსკსა, ოდესასა, პენზასა, პოლტავასა, რიგასა, ჩერნიგოვსა, დონის-როსტოვსა, ტულასა ურალსკში და სხვაგან ხოლერა კვლავ მძვინვარებს.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საარწმუნოებასა და ვეთილმსნეობაზე.

წიგნი „რიცხვთა" *)

ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი იყო ბალამი, ანუ ძოლოდ მოგვი და მისანი? ამ საკითხის შესახებ წმ. მამათა შეხედულობანი ორად განიყოფებიან; ზოგნი ბალამს სთვლიან წინასწარმეტყველად, ზოგნი კი უბრალო მოგვად. ბალამი იყო მსასოებელი იეგოვასი, ჭეშმარიტი ღვთისა, ის წინასწარმეტყველებს მესიას მოსვლას, რაც შეუძლებელია ცრუ მოგვისაგან; მას წინასწარმეტყველად სთვლის პეტრე მოციქული, თვით ბალამი აქებს ებრაელებს მისთვის, რომ მათში არ არის მისნობა (23,23). ყველას გვაფიქრებინებს, რომ ბალამი იყო ერთი იმ პირთაგანი, რომელთაც ღმერთი აღადგენდა ხოლმე წარმართთა შორის თავის წმიდა სახელის სადიდებლად.

ებრაელნი დარჩნენ სატინში, ზოგი მათგანი წაიბილწა მოაბელ ქალებთან მრუშებით და ნაკერპავი მსხვერპლის ჭამით; უფალი განრისხდა ებრაელებზე; მოსემ დანიშნა მსაჯულები, რომლებსაც უნდა გამოერკვიათ, ვინ იმრუშა მადიამელებთან და დაესაჯნათ იგინი. როცა ხალხი სტიროდა კარვის წინ და ინანებდა ცოდვას მაშინ მივიდა ერთი კაცი, და მოუყვანა თავისს ძმებს მემრუშე ქალი მადიამელი; ფინეზ მღვდელი განრისხდა ამ გვარი ღვთის ბრძანების გმობით და მოკლა ისარით ეს კაციც და მადიამელი ქალიც. ღვთის რისხვა დასცხრა; ამ დღეს მოისრა 25 ათასი მემრუშე კაცი. (თ. 25).

შემდეგ ამისა, მოხდა აღრიცხვა ებრაელთა მისთვის, რომ გაენაწილებინათ აღთქმის ქვეყანა; აღმოჩნდა, რომ სულ იყო 601,730 მამაკაცი;

ლევიტელნი ცალკე აღრიცხეს, ისინი სულ 23 ათასი გამოვიდნენ. (თ. 26).

როდესაც ადგენდენ საოჯახო სიებს, აღმოჩნდა ერთი ოჯახი, რომელიც შესდგებოდა მხოლოდ ხუთი ქალისგან; მათი მამა სალპაადი მომკვდარიყო უდაბნოში და ვაჟი არ დარჩენოდა. ამ სალპაადის ასულებმა ითხოვეს თავისი მამის ნაწილი ადგილი. ღვთის შთაგონებით, მოსემ მისცა მათ ადგილი მამის სახელზე; ამავე დროს გამოიცა კანონი მემკვიდრეობის შესახებ; თუ ვინმე უძეოდ მოკვდებოდა, მისი წილი ადგილ-მამული რჩებოდა ქალიშვილებს, მხოლოდ იმ პირობით, რომ მისი შვილები ყოფილიყვნენ დედს-მამის სახელისანი. შემდეგ ამისა, ღმერთმა უბრძანა მოსეს მომზადებულიყო სიკვდილისათვის; ის უნდა ასულიყო ნაბავის მთაზე და იქიდან დაენახა აღქმის ქვეყანა; თანახმად მოსეს თხოვნისა, ღმერთმა უბრძანა მას დაეყენებინა თავის მაგივრად Ისუ ძე ნავესი ხალხის წინამძღოლად. (თ. 27).

კვალად განმეორებულ იქმნენ კანონები დღესასწაულების და აღთქმათა შესახებ (თთ. 28—30),

ღმერთმა უბრძანა მოსეს სიკვდილის წინ ერთი სამხედრო საქმე კიდევ შეესრულებინა—სამაგიერო გადაეხადნა მადიამელთათვის. მოსემ შეაგროვა ჯარი, რომელსაც თან გაყვა ფინეზ მღვდელი, ცნობილი ერთგულობით; ებრაელთა ჯარმა გასწყვიტა მადიამელთა მამაკაცნი და მოკლა ხუთი მეფე მათი და ბალიამ ბოგუვიც. მოსესვე ბრძანებით გასწყვიტეს დედაკაცები, რომელთაც უწყოდნენ საწოლი მამაკაცისა, რადგანაც მათ ბალამის რჩევით აცთუნეს ებრაელნი; ხოლო ის დედაკაცები, რომლებამც არ უწყოდნენ საწოლი მამაკაცისა დასტოვეს ცოცხალნი. დანავლი, მოსეს რჩევით გაყვეს ორ ნაწილად. ერთი წილი მისცეს ომში ნამყოფებს, ერთი კიდევ შინ დარჩენილებს, რაოდენიმე ნაწილი დანავლისა შესწირეს კარავს (თ. 31).

მადიამელთა დამარცხების შემდეგ, რუბენის და გადის ტომთა წარმომადგენლებმა სთხოვეს მოსეს მიეცა მათთვის საცხოვრებელად ებრაელთაგან უკვე დაჭერილი იორდანეს გამოღმა მდებარე ადგილები, რომლებიც შეადგენდნენ უწინ სეონ და ოგ მეფეთა სამფლობელოს. ამ ადგილებში იყო კარგი საბალახეები მოსემ აღუთქვა მათ თხოვნის აღსრულება მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მათ ეშველნათ დანარჩენ ებრაელთათვის ქანაანის ქვეყნის დაპყრობა და მერე დაბრუნებულიყვნენ ამ ადგილებში; ამავე პირობით მიეცა მანასეს ნახევარ ტომს ბასანის ჩრდილოეთის ნაწილი (თ. 32).

შემდეგ (33) თავში ჩამოთვლილია უმთავრესი ადგილები საცა დაუსვენებიათ ებრაელებს ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ. ღმერთმა უბრძანა ებრაელთ მოესპოთ აღთქმის ქვეყანაში კერპები და მათი მსახურებაც, გაეყოთ ეს ქვეყანა წესიერად და საზღვრებიც უჩვენა. (33—34 თ.)

ლევიტელებს არ მისცემიათ რომელიმე საკუთარი ადგილი საცხოვრებლად, ისე როგორც სხვა ტომებს, რადგანაც მათ უნდა ეგდოთ ხალხის ზნეობა-სარწმუნოებისათვის ყური და ესწავლებინათ მისთვის სჯული ღვთისა, ამიტომ მათ მიეცათ საცხოვრებლად 48 ქალაქი ყველა ტომის ხვედრს ადგილებში; ქალაქებთან მათვე მიეცათ ერთად საძოვარი ადგილებიც საქონლისათვის. ორმოცდა რვა ქალაქიდან ექვსი ქალაქი სამი იორდანეს გალმა და სამიც ქანაანის ქვეყანაში დანიშნულ იქმნენ შესაფოლველ, ანუ თავშესაფარ ქალაქებად. ამ ქალაქებში შეეძლოთ თავი შეეფარებინათ შურის მაძიებელ მდევართაგან უნებლიეთ მკვლელებს; რაკი უნებლიეთი მკვლელი კაცისა მოასწრებდა ამ ქალაქში თავის შეფარებას, მაშინ შურის მეძიებელს ნება აღარა ჰქონდა შეხებოდა მას. ამავე ქალაქში ინიშნებოდა გამოძიება მკვლელობისა. მკვლელს უნდა ეცხოვრნა ამ ქალაქში მღვდელთ მთავრის სიკვდილამდე, ხოლო მღვდელთ მთავრის სიკვდილის შემდეგ მას ნება ეძლეოდა გასულიყო ამ ქალაქიდან და მას ვერავინ შეეხებოდა. (თ. 35).

სალპაადის ქალებმა, რომლებსაც მიეცათ თავისი მამის ხვედრი ადგილი, მოისურვეს გათხოვება. შეიკრიბნენ მანასიის ტომის წარმომადგენელნი და მოახსენეს მოსეს, რომ თუ სალპაადის ქალები სხვა ტომისგან ვისმე მისთხოვდებოდნენ, მაშინ მათი მამული გადავიდოდა სხვა ტომის ხელში, მანასიის ტომს კი შეუმცირდებოდა ადგილი. ღმერთმა ბრძანა, რომ სალპაადის ასულები და ყველა სხვა ქალებიც, რომლებსაც ძმები არა ჰყავდათ და რომლებიც თვითან იყვნენ მემკვიდრეებად უძრავი ქონებისა, უთუოდ მისთხოვებოდნენ თავისივე ტომის კაცს. ამიტომ სალპაადის ასულები მისთხოვდნენ ბიძაშვილებს.

წიგნი მეორე სჯულისა.

მოსეს მეხუთე წიგნს ებრაულს დაბადებაში ეწოდება „ელლე ჰადებარიმ“ რაც ქართულად ნიშნავს: „ესე სიტყვანი“; ეს სახელი აღებულია წიგნის პირველი სიტყვებიდან. ბერძნული სახელი ამ წიგნის „დევტერონომიონ“ და აქედან ქართულად თარგმნილი „მეორე სჯულისა“ აღებულია წიგნის შინაარსიდან, საცა გამეორებულია ბევრი გამოსვლათა, ლევიტელთა და რიცხვთა წიგნებში მოხსენებული კანონები.

დრო და ადგილი ამ წიგნის დაწერისა აღნიშნულია მის პირველს მუხლებში; ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ მეორმოცე წლის მეტერთმეტე თვეში, იორდანის ნაპირას, მოაბელთა მინდორში დაიწერა ეს წიგნი. მიზეზი ამ წიგნის დაწერისა იყო ქანაანის ქვეყანაში შესვლის და მოსეს სიკვდილის მოახლოვება. რადგანაც ეგვიპტიდან გამოსული ებრაელნი სულყველანი დაიხოცნენ უდაბნოში გარდა ქალემ, ᲘᲔᲡᲣᲡᲘ და მოსესი და ებრაელთა ახალმა თაობამ არ იცოდა ის ამბები, რომლებიც მოხდა უდაბნოში მოგზაურობის ჟამს, მოსემ საჭიროდ დაინახა ეამბნა მათთვის ყოველივე ეს.

წიგნი „მეორე სჯულისა განიყოფება ორ ნაწილად. პირველი ნაწილი შესდგება ოცდა ათი (1—30) თავისაგან და შეიცავს სინას მთაზე მიღებული კანონების განმეორებას და განმარტებას; მეორე ნაწილი შესდგება ოთხი თავისგან და შეიცავს იმ რჩევა დარიგებას და მოძღვრებას, რომლებიც მოსემ მისცა ებრაელთ სიკვდილის წინ. (31—34). უკანასკნელი ორი თავი ამ წიგნისა, როგორც ფიქრობენ, და წერილია ᲘᲔᲡᲣ ძისა ნავესი, როლო უკანასკნელი ოთხი მუხლ 34 თავისა ეკუთნის ან სამოელ წინასწარმეტყველს ან მღვდლთ-მთავარ ეზდრას.

ნაწილი პირველი. (1,6—30).

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲢᲧᲕᲐ ᲛᲝᲡᲔᲡᲘ (1,6—4,40), მოსე იხსენებს ყმაწვილ ებრაელთ წინაშე იმას, თუ როგორ ებრძინა მათ სინას მთასთან ბანაკობის დროს წასვლა აღთქმის ქვეყანაში და იქ დამკვიდრება; მოხსენებულია ისიც, როგორ მოვიდნენ ებრაელნი კადეს-ბარნამდე, როგორ გაგზავნეს მზვერავები აღთქმის ქვეყნის გასასინჯად, როგორ თქვეს ებრაელებმა უარი იქ შესვლისა ამორეველთა შიშის გამო, თუნდაც კარგა იცოდნენ, რომ ღმერთი ყოველთვის იფარავდა მათ და როგორ უბრძანა მათ ღმერთმა უკან უდაბნოში დაბრუნება, (თ. 1). მოკლედ ეხება მოსე ოცდა თვრამეტი წლის მოგზაურობას უდაბნოში; ღმერთმა არ მისცა მათ ნება ეომნათ ესავის და ლოტის ჩამომავრობის ხალხთან; დაუმორჩილა მათ სეონ, მეფე ამორეველთა (თ. 2). მოიხსენა მოსემ ბასანის სამეფოს დაპყრობაც და ამ დაპყრობილ სამეფოების ადგილების განაწილებას რუბენის, გადის და მანასიის ნახევარ ტომის შორის; იხსენებს მოსე იმასაც, რომ ღმერთმა არ აღირსა მას შესვლა აღთქმულს ქვეყანაში და უბრძანა თავის მაგიერი კაცი ᲘᲔᲡᲣ, ძე ნავესი ამოერჩია ურიათა წინამძღოლად. (თ. 3).

მოსე არწმუნებს ერს, რომ მან მტკიცედ დაიცვას სჯული ღვთისაგან მოცემული მიტომ, რომ ეს სჯული არის „სიბრძნე და მეცნიერება“ ებრაელთა; ღვთისგან მიცემულს სჯულს ხალხმა არც არა უნდა მოუმატოსრა და არც არა დააკლოს-რა; არც ღვთის სასწაულებია დასავიწყებელი. სჯულის მტკიცედ დაცვისთვის ებრაელთ მოელით მადლი ღვთისა და წყალობა, ხოლო დარღვევისათვის—რისხვა და სასჯელი. (თ. 4).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲢᲧᲕᲐ ᲛᲝᲡᲔᲡᲘ (თ. 5—26). მოსე უბრძანებს ებრაელთ შეისწავლონ ათი მცნება. ეს მცნებანი მოითხოვენ ერთი ღვთის რწმენას და მის სიყვარულს, მცნებები ებრაელებმა უნდა ასწავლონ შვილებს, დაიწერონ სახლის კარებზე, შეიბან ხელზე ღა აღასრულონ (თ. 6). მოსე უკრძალავს ებრაელებს ნათესაურს, რაიმე სხვა და სხვა-ფერ კავშირს ქანანელებთან; გარდა ამისა ებრა ლებმა, შესვლისათანავე ქანაანის ქვეყანაში, უნდა დაანგრიონ იქაური სამსხვერპლოები; კურთხეულ და გამრავლებულ იქნება ერი ისრაილისა, თუ აღასრულებს ღვთის მცნებებს. (თ. 7); მოსე კვალად იხსენებს უდაბნოში ორმოცი წლის მოგზაურობას, საცა ღმერთი სასწაულებრივად აძლევდა მათ ყოველივესავე სარჩოს, ზრდიდა მათ მანანათი; ამიტომ როცა ქანაანის ქვეყანაში ებრაელთ ყველაფერი საკმარისად ექმნება, არ უნდა ეგონოს რომ ყოველივე ეს მათ მოიპოვეს თავისი ძალლონით და არ უნდა დაივიწყონ ღმერთი (თ. 8).

ებრაელნი ქანაანის ქვეყანაში დაიმორჩილებენ თავისზე უფრო ძლიერს ერებს, აიღებენ ძრიელ დამაგრებულ ადგილებს, მაგრამ მათ არ უნდა

იფიქრონ, რომ ღმერთი მათ გამარჯვებას ანიჭებს მათი სიმართლისათვის; არა, გამარჯვება ებრაელთა აიხსნება მხოლოდ ღვთის წყალობით და არა სხვით რითიმე. ბევრი ცოდვა ჩაიდინეს ებრაელებმა უდაბნოში მოგზაურობის დროს, ბევრჯელ განარისხეს უფალი, რისთვისაც მას სურდა სრულიად მოესპო ნათესავი ებრაელთა პირისაგან ქვეყნისა, მაგრამ, მოსეს მხურვალე ლოცვის და თხოვის გამო, ღმერთმა აღარ მოსპო ერი. (თ. 9).

გა ხსენა მოსემ ამბავი მეორე ქვის ფიცრების გაკეთებისა და ლევის ტომის არჩევისა სამსახურებლად უფლისა. (თ. 10). ღვთის სიყვარულის ჩასანერგად ხალხის გულში და გასამტკიცებლად, მოსე მოაგონებთ მათ სასწაულებს, რომელნიც ჰქმნა ღმერთმან—ფარაოს დანთქმა, კორეს დათან და აბირონის დაღუპვა; აუხსნა ნაყოფიერება აღთქმის ქვეყნისა; ურიებს მოელით სჯულის დარღვევისათვის სასჯელი, აღსრულებისთვის—წყალობა. (თ. 11).

აღთქმის ქვეყანაში შესვლისათანავე, ებრაელებს უნდა დაენგრიათ წარმართთა კერპები და სამლოცველო ადგილები—სერტყეები (ჭალები) მუხები და სხვა; მათ უნდა სახელებიც კი გამოეცვალნათ ამ ადგილებისთვის. ქანაანის ქვეყანაში უნდა დაწესებულიყო ერთი რომელიმე ადგილი, სადაც მთელი ხალხი წელიწადში სამჯერ უნდა მოსულიყო სალოცავად და მსხვერპლის შესაწირავად. მსხვერპლის შეწირვა სხვა რომელიმე ადგილზე, გარდა ღვთისაგან დანიშნულისა არ შეიძლებოდა. თუ სამსხვერპლო ცხოველი დაიკვდოდა სხვა რომელსამე ქალაქში, მას არა ჰქონდა მნიშვნელობა მსხვერპლისა და მისი ხორცის ჭამა ყველას შეეძლო. ერთი სალოცავი ადგილი დაინიშნა ყველა ებრაელთათვის მიტომ, რომ ისინი არ დაქსაქსულიყვნენ და არ შეჩვეოდნენ კერპთ-მსახურებას. ამავე სალოცავ ადგილს უნდა მიეტანა ყველას ეგრე წოდებული მეორე ათეული მთელი მოსავლიდან; ეს მეორე ათეული დანიშნული იყო სალოცავად მისულთა საჭიროებისათვის და ქველის საქმეზე მოსახმარებლად. (თ. 12).

მოსე აბრთხილებს ებრაელებს ცრუ წინასწარმეტყველთაგან. მხოლოდ სასწაულთ მოქმედება არ არის უტყუარი ნიშანი ჭეშმარიტი წინასწარმეტყველობისა; ყურადღება უნდა მიექცეს ქადაგებამოძღვრებასაც. თუ რომელიმე კაცი იქმს სასწაულებს, მაგრამ ჰგმობს ღმერთს და ქადაგებს მისგან განდგომას, ის არ არის ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი და ამიტომ უნდა დაქოლვილ იქმნეს ქვით. ასეთივე სასჯელი მოელის ჭეშმარიტი ღვთისაგან მისი სჯულის მოღალატე კაცს და მთელს ქალაქსაც. (თ. 13).

ჩვეულებანი წარმართ ქანანელთა არ უნდა შეეთვისებინათ ებრაელებს, მაგ. მათ არ უნდა დაიჭრან ტანი, ან გაიპარსონ წარბები გლოვის ნიშნად; ხოლო თუ ათეულის მიტანა არ შეიძლება რაიმე მიზეზის გამო, მაშინ უნდა გაეყიდნა ათეული და ფულით სალოცავ ადგილზე ეყიდნა ყველაფერი, რაც საჭირო იყო სადღესასწაულოდ და ლევიტელთათვის. ეს იყო მეორე ათეული. ეს მოჰქონდა ებრაელს სალოცველ ადგილს მხოლოდ ორი წლის განმავლობაში. მესამე წელს კი შეეძლო თავის სახლში მიეწვია ლევიტელი, ქვრივ-ობლები, მწირი და იქ გადაეხადნა დღესასწაული. (თ. 14).

მეშვიდე, შაბათის წელიწადი იყო წელიწადი მიტევებისა და დასვენებისა. ამ წელიწადს მდიდრებს უნდა ეპატიებინათ ღარიბ ებრაელთათვის ვალები; ამავე წელიწადს უნდა გაენთავისუფლებინათ მონები; ის მონა, რომელიც ემსახურა ბატონს ექვსი წელიწადი არ უნდა გასულიყო ბატონის სახლიდან ხელცარიელი; მას ეძლეოდა რაოდენიმე ნაწილი ბატონის ქონებიდან—ცხოველთაგან, პურიდან და ღვინიდან. თუ მონა მოისურვებდა ბატონთან დარჩენას, მაშინ ბატონს უნდა გაეხვრიტა მისთვის სადგისით ყური და მონა სიკვდილამდე რჩებოდა ბატონთან. გაიმეორა მოსემ კანონი პირმშოთა შეწირვის შესახებაც და მოემატა ის, რომ პირმშო ზროხა სულ არ უნდა ამუშაონ და ცხვარი არ გაკრიჭონ, რადგანაც ისინი ეკუთნიან ღმერთს, პირმშო ცხოველი უთუოდ სალოცველ ადგილზე უნდა შეეწირათ ღვთისთვის. თუ პირმშო საქონელს ჰქონდა რაიმე ნაკლი, რომელიც უშლის მას მსხვერპლად შეწირვას, მაშინ ის უნდა დაეკლათ სახლში და ეჭამათ. (თ. 15).

პასექის, ერგასეულის და ტალავრობის დღესასწაულთა შესახები კანონების გამეორების შემდეგ, მოსემ მისცა ურიებს კანონი მსაჯულთა შესახებ.

ქანაანის ქვეყანაში შესვლის შემდეგ, ებრა-

ელებმა უნდა დაიყენონ მსაჯულნი და მწიგნობარნი ყველა ქალაქებში; ამ მსაჯულებმა უნდა გაარჩიონ ყოველი დავა ებრაელთა შორის სწორედ, მიუდგომელად, უ-რთამოდ, რადგანაც ქრთამმან დაუბნის თვალნი ბრძენთანი და გარდაქცევნის სამართალნი. ამ მოსამართლეებმა ყური უნდა უგდონ, რომ ხალხმა არ უღალატოს ჭეშმარიტს სჯულს (თ. 16). თუ შეიტყეს, რომ ვინმემ უღალატა სჯულს და მსახურებს ღმერთსა უცხოსა, მსაჯულებმა უნდა გამოიძიონ საქმე მოწმების გამოკითხვით და თუ ბრალდება დამტკიცდა, მაშინ დამნაშავე უნდა ჩააქვავონ. ძნელი და დიდი საქმის გარდასაწყვეტად უნდა მიმართონ უმაღლესს სამსჯავროს, რომელიც იქნება უმთავრეს ქალაქში და შესდგება მღვდელთ-მთავრის თავმჯდომარეობით მღვდელთა და ლევიტელთაგან. უმაღლესი სამსჯავროს გადაწყვეტილება საბოლოოა და ვინც მას არ დაემორჩილება სიკვდილით დაისჯება—უკეთუ ებრაელნი ოდესმე მოისურვებენ მეფის დადგენას, უნდა დააყენონ ის კაცი, რომელსაც უბნძანებს ღმერთი. მეფე უთუოდ უნდა იყოს ებრაელთა ტომისა, და არა უცხო; ის ცხოვრებაში არ უნდა ბაძვიდეს წარმართთა მეფეებს, არ უნდა გაიმრავლოს ცოლები, ეტლები, სიმდიდრე. ხალხის მართვაში მეფე უნდა ხელმძღვანელობდეს ღვთისაგან მოცემული სჯულით, ამ სჯულს ბრძანებათაგან მან არ უნდა გადაუხვიოს არც მარჯვნივ და არც მარცხნივ. (თ. 17).

კვალად განიმეორა მოსემ კანონები ლევიტელთა შესახებ. მოსე აფრთხილებს ებრაელებს ცრუ წინასწარმეტყველთაგან, რომელნიც ჭეშმარიტთაგან განირჩევიან სიტყვითაც და საქმითაც. წინასწარ ამბობს მოსე, რომ ღმერთი მოავლენს მის მსგავს წინასწარმეტყველს; ამ წინასწარმეტყველს ღმერთი მისცემს სიტყვათა თვისთა და ვინც არ იწამებს მას, დაისჯება,—ახალი აღთქმის საღვთო წერილის (საქმე მოც. 3,20—24; 7,37) და წმ. მამათა განმარტებით ეს მოსეს მსგავსი წინასწარმეტყველი არის იესო ქრისტე. მოსე იყო წინამძღოლი, წინასწარმეტყველი, სჯულის მდებელი ძველი აღთქმისა, შუამდგომელი ღვთისა და კაცთა შორის, დაახლოვებული იეგოვასთან. იესო ქრისტე, მესია არის წინამძღოლი, წინასწარმეტყველი, სჯულმდებელი ახალი აღთქმისა, შუამდგომელი ღვთისა და კაცთა შორის, ღვთაებრივი ბუნებით—მხოლოდშობილი ძე ღვთისა, მოსემ გაანთავისუფლა ებრაელნი ეგვიპტის მონობისაგან და მოიყვანა აღთქმის ქვეყანამდე; იესომ თავისი მოძღვრებით, ცხოვრებით, სიკვდილით გაანთავისუფლა კაცობრიობა სულიერი ეგვიპტის მონობისგან და განუღო შესავალი აღთქმული ნეტარებისა. (თ. 18).

კვალად განიმეორა მოსემ კანონი შესალტოლველ ქალაქთა დანიშვნის შესახებ; მსაჯულები ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ ადგილმალულების საზღვრების შეურყევლად დაცვას. დამნაშავეს დასჯა შეიძლება ორი ან სამი მოწმის ჩვენებით; თუ გამოჩნდა, რომ მოწმე ცრუობს, მაშინ მას უნდა მიაგონ ის სასჯელი, რომელიც მან ზრახა მოყვასისათვის. (თ. 19).

საომრად გასვლის წინ მღვდელთ-მოძღვარმა უნდა გაამხნეოს მეომრები ღვთის იმედით და ძალით. სამხედრო ბეგრისაგან თავისუფალი არიან ის მეომრები, რომლებსაც ჯერ ახლად აქვთ აშენებული სახლი, ახლად შეურთავთ ცოლი, ახლად დაურგავთ ვენახი და ნაყოფი ჯერ არ მოუკრებიათ, აგრეთვე სუსტები და მშიშრები. ომის დაწყებამდე მოწინააღმდეგეს წინადადება უნდა მისცენ დამორჩილებაზე და თუ უარი მიიღეს მხოლოდ მაშინ უნდა დაიწყონ ომი და მოსრან ყველანი გარდა ქალებისა და ბავშვებისა. ომის დროს არ უნდა გააოხრონ ქალაქის მიდამოები და ნაყოფიერი ხეები. (თ. 20).

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 30 სექტემბერი 1908 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი"-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.